

4. ნიადაგების დამლაშების და გაბიცობების აცილება, მინიმიზირება და შემსუბუქება

ნიადაგის დამლაშება თავისთავად წარმოადგენს ნიადაგში ნატრიუმის, მაგნიუმის და კალციუმის წყალხსნადი მარილების დაგროვებას. დამლაშება არის მაღალი ჯამური აორთქლების, ზღვის წყლების დონის აწევის და შემოჭრის, აგრეთვე ანთროპოგენური პროცესების შედეგი (მაგალითად, არარაციონალური რწყვა). დამლაშება ამცირებს მოსავლიანობას, ხოლო განსაზღვრული დონის შემდგომი მატება სრულად გამორიცხავს სასოფლო სამეურნეო კულტურათა წარმოებას.

- საჭიროა ნიადაგის ზედაპირის საფარის ოპტიმიზირება, იმისათვის რომ შემცირდეს წყლის დანაკარგები აორთქლებით.
- საირიგაციო წყლების გამოყენების ეფექტურობა უნდა ამაღლდეს წყლის მიყვანის, განაწილების და შეტანის მეთოდების სრულყოფის გზით. საჭიროა გამოყენებული იქნას ირიგაციის მეთოდები დაბალი წნევის მოხმარებით და წყლის შეტანით უშუალოდ ნიადაგში. აორთქლებით დანაკარგების ასარიდებლად საჭიროა წყლის მიწოდების ავტომატიზაციის და მცენარეთა წვეროების მორწყვის არიდება.
- რწყვის რეგულირებამ უნდა უზრუნველყოს წყლის საკმარისი რაოდენობა მცენარეთა გასაზრდელად, დრენაჟისათვის და ნიადაგის დამლაშების ასაცილებლად.
- საჭიროა საირიგაციო წყლის ანალიზი და ხარისხის კონტროლი., როცა შესაძლებელია საჭიროა ჩატარდეს წყლის განმლაშება.
- გრუნტი წყლების დონის კონტროლის და ნიადაგის დამლაშებასთან ბრძოლისათვის საჭიროა დადგინდეს და ხელი შეეწყოს ღია და დახურული დრენაჟის სისტემების მუშა მდგომარებას. ასეთი სისტემების კონსტრუქცია უნდა ეფუძნებოდეს რაიონში წყლის ბალანსის სიღრმისეულ ცოდნას.
- თუ ნიადაგები უკვე ექვემდებარებიან დეგრადაციას, შეიძლება დამლაშებული ნიადაგების მელიორირება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, რომელთა შორის არის პირდაპირი ჩარეცხვა, მარილგამძლე ჯიშების გადარგვა, აბორიგენული ჰალოფიტების გაკულტურება აგროსადმოვრების სისტემებში გამოსაყენებლად, ქიმიური მელიორაცია და ნიადაგის ორგანული გამაუმჯობესებლების გამოყენება.